

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში

თბილისი

2022

მომსახურებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა პოპულაციაზე დაფუძნებული (Population-based/Census-based) მიდგომა, რომელიც გულისხმობს პოპულაციის ყველა წევრისთვის (ამ შემთხვევაში თსუ-ის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის) ონლაინ კითხვარის (google form) მიწოდებას თსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (LMS) საშუალებით. გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტში მიღებული განათლების ხარისხის შესახებ სტუდენტთა კმაყოფილების განსაზღვრა და სხვადასხვა საუნივერსიტეტო სერვისის შეფასება. კვლევის ინსტრუმენტი იყო რაოდენობრივი კვლევის კითხვარი. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 885-მა სტუდენტმა. გამოკითხვის დონე 3.5%-ია (სულ 25252 აქტიური სტუდენტი).

გამოკითხვა მიმდინარეობდა 20 დღის განმავლობაში (დაიწყო 17.08.2022 და დასრულდა 05.09.2022) კვლევის ჩატარებისა და მონაცემთა დამუშავების პროცედურა ცენტრალიზებული იყო. განხორციელდა თსუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

ძირითადი შედეგები

სტუდენტების მიერ უნივერსიტეტში მიღებული განათლების დონით კმაყოფილება საშუალოზე მაღალია. უფრო კონკრეტულად კი, სასწავლო გარემოს შეფასებამ გამოავლინა, რომ სტუდენტების კმაყოფილების დონე სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან, სწავლების ხარისხთან, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის შრომის ბაზართან შესაბამისობასთან, პერსონალის კვალიფიკაციასთან, შეფასების ობიექტურობა-გამჭვირვალებასთან და სტუდენტების მხარდაჭერ სერვისებთან მიმართებით საშუალოზე მაღალია.


უნივერსიტეტში მიღებული განათლების შედეგები მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია სტუდენტთა ნახევარის (49.8%) მოლოდინებთან, ხოლო სრულიად შეესაბამება 31.1%-ის მოლოდინებს. სავარაუდოდ სწორედ ამიტომ, გამოკითხულთა 44.7% სწავლის გაგრძელებას კვლავ თსუ-ში გეგმავს. დაახლოებით 52.2% კი - სხვა აბიტურიენტებსაც ურჩევდა თსუ-ში ჩაბარებას.

სტუდენტები უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო, კვლევითი, კულტურული, სპორტული თუ სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას ძირითადად თსუ-ს ვებგვერდის, ელექტრონული ფოსტისა, LMS ანგარიშისა და თანატოლების მეშვეობით იღებენ.

მაღალია ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული რესურსებითა და სერვისებით სტუდენტთა კმაყოფილების დონე.

გასაუმჯობესებელ მხარეებად გამოიყენება: პრაქტიკული მეცადინეობების საათებისა და პრაქტიკის (სტაჟირების) გაზრდის საჭიროება, სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობის (ინფრასტრუქტურის) გამართვა, კვლევითი ლაბორატორიების არასაკმარისი რაოდენობა და მათი ხარისხი, კარიერის დაგეგმვის სერვისების ეფექტურობის გაზრდა, LMS-ის, ინტერნეტისა და სალექციო განრიგის (ცხრილის) ორგანიზების საკითხები და სხვ.


დემოგრაფიული ნაწილი



დიაგრამა N1. რესპონდენტთა სქესი


კვლევაში მონაწილე 885 სტუდენტიდან 31.6% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 68.4% - მდედრობითის. გამოკითხულთა 93.6% 18-დან 25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში თავსდება, 6.4% 25 წელს ზემოთაა.

გამოკითხულთა 81.7% ბაკალავრიატის, 9.7% მაგისტრატურის, 2.8% დოქტორანტურის, 3.3% ერთსაფეხურიანი, ხოლო 2.1% მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტია.



დიაგრამა N2. სწავლების საფეხური


ფაკულტეტების მიხედვით ყველაზე მაღალი აქტივობის დონე დაფიქსირდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 24.7%, მას მოსდევს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი 17.2%-ით და იურიდიულ მეცნიერებათა ფაკულტეტი 16.2%-ით. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 13.7%-მა, ხოლო მედიცინის ფაკულტეტიდან 7.8%-მა დააფიქსირა მოსაზრებები. იდენტური მაჩვენებლები აქვთ სოციალურ და პოლიტიკურ და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტებს - 10.4%.



დიაგრამა N3. ფაკულტეტი

1. მიღებული განათლების დონით კმაყოფილება


კვლევის შედეგების თანახმად, სტუდენტების მიერ უნივერსიტეტში მიღებული განათლების დონით კმაყოფილება საშუალოზე მაღალია. შეკითხვაზე „საერთო ჯამში, შეესაბამება თუ არა უნივერსიტეტში მიღებული განათლების შედეგები თქვენს მოლოდინებს?“, დათანხმება-



არდათანხმების სკალაზე სტუდენტთა 31.1%-მა დააფიქსირა „დიახ“ პასუხი. მეტ-ნაკლები კმაყოფილება გამოხატა გამოკითხულთა 49.8%-მა, ხოლო უნივერსიტეტში მიღებული განათლება არ შეესაბამება გამოკითხულთა 19.1%-ის მოლოდინებს.

უნივერსიტეტში მიღებული განათლებით ზოგად კმაყოფილებას ადასტურებს რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგები

დიაგრამა N4. მოლოდინები უნივერსიტეტთან მიმართებით მომდევნო შეკითხვაზეც - „გეგმავთ თუ არა სწავლის გაგრძელებას“, რაზედაც გამოკითხულთა 44.7% პასუხობს, რომ გეგმავს თსუ-ში სწავლის გაგრძელებას, ხოლო 23.1% გეგმავს სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული განათლებითა და სერვისებით კმაყოფილების ზოგადი დონე მაღალია და ამავდროულად, გაზრდილია წინა წლებთან შედარებით (მაგ., 2020 წლის მონაცემებით გამოკითხულთა 41.8% თსუ-ში). გამოკითხულ სტუდენტთა 7.3% სხვა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აპირებს სწავლის გაგრძელებას, ხოლო 22.5%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია. გამოკითხულთა 2.4% არ გეგმავს სწავლის გაგრძელებას.



დიაგრამა N5. გეგმავთ თუ არა სწავლის გაგრძელებას?

ასევე, პოზიტიურია სტუდენტთა პასუხი შეკითხვაზე „ურჩევდნენ თუ არა თსუ-ში ჩაბარებას სხვა აბიტურიენტებს“, სადაც გამოკითხულთა 52.5% დადებით პასუხს აფიქსირებს.



დიაგრამა N6. ურჩევდით სხვა აბიტურიენტ(ებ)ს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებას?

2. სასწავლო გარემოს შეფასება

კვლევაში გამოყენებული კითხვათა ჯგუფით სტუდენტებს უნდა შეეფასებინათ სასწავლო გარემო. სახელდობრ, შეკითხვები შეეხებოდა სალექციო განრიგის (ცხრილი) განაწილებას, სასწავლო კურსებში თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შეფასებას, სასწავლო მასალის აქტუალობას, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, შეფასების გამჭვირვალებას/ობიექტურობას, სწავლების ხარისხს, პროფესორ-მასწავლებლების კომპეტენციასა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს. გარდა ამისა, სტუდენტების მიერ შეფასდა აუდიტორიების, კვლევითი ლაბორატორიების და უცხოური ენების კაბინეტების ტექნიკური აღჭურვილობა, LMS სერვისი ეფექტურობა, უნივერსიტეტში არსებული კარიერული სერვისები, უნივერსიტეტში არსებული სტაჟირების/პრაქტიკის გავლის შესაძლებლობები და სხვ.

სწავლების ორგანიზებასთან დაკავშირებით კვლევამ გამოავლინა შემდეგი პოზიტიური ასპექტები:

- სტუდენტთა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ ლექტორების კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია. საშუალო მაჩვენებლები განთავსებულია მაღალი შეფასების ველში და (Mean)= 3.8;
- მაღალი შეფასება აქვს ასევე დებულებას - ლექტორები მზად არიან სტუდენტების კონსულტირებისა და მხარდაჭერისთვის, საშუალო მაჩვენებელია (Mean)= 3.7;
- გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით შეძლებთ სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლას, საშუალო მაჩვენებელია (Mean)= 3.7;
- სტუდენტთა მიერ პოზიტიურადაა შეფასებული სასწავლო კურსების შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, (Mean)= 3.5;

ასევე, დადებითი შეფასების ველში მოხვდა შემდეგი დებულებები:

- საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და საჯაროა სტუდენტისთვის, (Mean)= 3.4;
- სასწავლო მასალა სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია; ჩემი სპეციალობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სასწავლო კურსებს საათების ადეკვატური რაოდენობა ეთმობა; სტუდენტთა შეფასების სისტემა ობიექტური და გამჭვირვალეა; უნივერსიტეტს აქვს სტუდენტების მხარდადამჭერი სხვადასხვა სერვისი (სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა და ა.შ.), (Mean)= 3.3;
- უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს; თეორიული მეცადინეობები კარგად არის ორგანიზებული, მისი მიზნები, ამოცანები და შინაარსი შეესატყვისება სტუდენტების საჭიროებებს, (Mean)= 3.2;
- პრაქტიკული მეცადინეობები კარგად არის ორგანიზებული, მისი მიზნები, ამოცანები და შინაარსი შეესატყვისება სტუდენტების საჭიროებებს, (Mean)= 3.1;

უარყოფითი შეფასების ველში მოხვდა და შესაბამისად, გასაუმჯობესებელ საკითხებად გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები:

- პრაქტიკული მეცადინეობების საათების გაზრდის საჭიროება, რასაც იზიარებს გამოკითხულთა უმრავლესობა. აღნიშნული შეკითხვის პირდაპირპროპორციულად თეორიული მეცადინეობების გაზრდის საჭიროებას ვერ ხედავს გაამოკითხულ სტუდენტთა დიდი ნაწილი (მოექცა უარყოფითი შეფასების ველში და (Mean)=2.1-ია). რაც შეეხება პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობების ორგანიზებულობას, გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ არ საჭიროებს გაუმჯობესებას (საშუალო მაჩვენებლები დადგებითი შეფასების ველშია მოქცეული);
- სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებად გამოყენება და აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობის (ინფრასტრუქტურის) შესაბამისობა სწავლების მაღალ ხარისხთან. საშუალო მაჩვენებელი მოქცეულია უარყოფითი შეფასების ველში და (Mean)=2.5-2.4ია);
- კვლევითი ლაბორატორიების არასაკმარისი რაოდენობა (Mean)=2.1-ია. თითქმის იგივე მაჩვენებლები მეორდება ლაბორატორების ხარისხთან (მოწყობა, ინვენტარი და ა.შ.) მიმართებით (Mean)=2.2-ია). აქვე აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, კვლევითი ლაბორატორიების რაოდენობისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს კვლევაში მონაწილეთა 34%-ს;
- აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობის (ინფრასტრუქტურა) შეუსაბამობა სწავლების მაღალი ხარისხის მოთხოვნებთან (Mean)=2.4).
- უცხოური ენების კაბინეტების მოწყობის გაუმჯობესებაზე, ისევე როგორც LMS სერვისი ეფექტურობის გაზრდის საჭიროებაზე მიუთითებს გამოკითხულთა უმრავლესობა, საშუალო მაჩვენებლები უარყოფითი შეფასების ველში მოექცა და (Mean)=2.1 და (Mean)=2.9);
- გასაუმჯობესებელ მხარეებში მოექცა უნივერსიტეტში არსებული კარიერის დაგეგმვის სერვისების ეფექტურობა და სალექციო განრიგის (ცხრილის) ორგანიზების საკითხებიც. საშუალო მაჩვენებელი (Mean)=2.6 და (Mean)=2.8).

სასწავლო პროცესისა და გარემოს შეფასებასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილ N1-ში.

ცხრილი N1. სასწავლო პროცესისა და გარემოს შეფასება

სასწავლო პროცესის და გარემოს შეფასება	საშუალო (Mean)	არ მაქვს ინფორმაცია
სალექციო განრიგი (ცხრილი) კარგადაა განაწილებული	2.8	2.5%
ჩემი სპეციალობისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სასწავლო კურსებს საათების ადეკვატური რაოდენობა ეთმობა	3.3	6.3%
საჭიროა თეორიული მეცადინეობების საათების გაზრდა	2.1	4.4%
საჭიროა პრაქტიკული მეცადინეობების საათების გაზრდა	3.3	15.2%
თეორიული მეცადინეობები კარგად არის ორგანიზებული, მისი მიზნები, ამოცანები და შინაარსი შეესატყვისება სტუდენტების საჭიროებებს	3.2	3.8%
პრაქტიკული მეცადინეობები კარგად არის ორგანიზებული, მისი მიზნები, ამოცანები და შინაარსი შეესატყვისება სტუდენტების საჭიროებებს	3.1	6.2%
ლექტორის კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია	3.8	9.7%

ლექტორები მზად არიან სტუდენტების კონსულტირებისა და მხარდაჭერისთვის	3.7	11%
სასწავლო მასალა სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია	3.3	6.1%
სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები	2.5	3.5%
აუდიტორიების ტექნიკური აღჭურვილობა (ინფრასტრუქტურა) სწავლების მაღალი ხარისხის ადეკვატურია	2.4	3.7%
კვლევითი ლაბორატორიები საკმარისი რაოდენობითაა	2.1	34.4%
კვლევითი ლაბორატორიების ხარისხი (მოწყობა, ინვენტარი და ა.შ.) სრულიად მისაღებია	2.2	34%
უცხოური ენების კაბინეტების მოწყობა (მაგ: შესაბამისი აპარატურა სმენითი, მეტყველების სავარჯიშოებისთვის და ა.შ.) საკმარისად მისაღებია	2.1	18.4%
უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (მაგ. აუდიტორიები, სარეკრეაციო სივრცეები და ა.შ.) მოწესრიგებულია, სათანადოდ არის ორგანიზებული	2.5	2.2%
საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი და საჯაროა სტუდენტისთვის	3.4	7.7%
უნივერსიტეტის LMS სერვისი ეფექტურია	2.9	4.5%
შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის	3.5	10.1%
სტუდენტთა შეფასების სისტემა ობიექტური და გამჭვირვალეა	3.3	9.4%
გამოცდები კარგად არის ორგანიზებული	3.1	20.9%
უნივერსიტეტში აქტიურად ტარდება დამატებითი შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	2.7	24.4%
უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა საერთაშორისო პროექტებში ჩართვას	3.0	25.6%
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დაფინანსებას/თანადაფინანსებას სტუდენტების სხვადასხვა პროექტში მონაწილეობისთვის	3.0	34%
ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული კარიერული სერვისების შესახებ ხელმისაწვდომია	3.2	23.3%
უნივერსიტეტში არსებული კარიერის დაგეგმვის სერვისები ეფექტურია	2.6	25.6%
უნივერსიტეტში არსებობს სტაჟირების/პრაქტიკის გავლის შესაძლებლობები	2.8	33.7%
უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა შეესაბამება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს	3.2	13.7%
უნივერსიტეტში მიღებული ცოდნით შეძლებთ სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლას	3.7	10.9%
უნივერსიტეტი იცავს სტუდენტთა უფლებებს	3.0	11%
უნივერსიტეტს აქვს სტუდენტების მხარდაჭერი სხვადასხვა სერვისი (სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა და ა.შ.)	3.3	20.5%

შენიშვნა: საშუალო მაჩვენებლები დათვლილია 6-ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი "1" ნიშნავს "სრულიად არ ვეთანხმები", ხოლო ციფრი "5" - "სრულიად ვეთანხმები". სკალის ნეიტრალური პუნქტია - "3". ციფრი 3-ზე ზევით შეესაბამება "მაღალი შეფასების ველს", ხოლო ციფრი 3-ზე ქვემოთ - "დაბალი შეფასების ველს". მონაცემების დათვლისას შეფასება „6 - არ მაქვს ინფორმაცია“ ცალკეა გამოტანილი.

3. ინფორმირებულობის დონე და ინფორმაციის მიღების წყაროები

აღნიშნული კითხვათა ჯგუფით სტუდენტებს უნდა დაესახელებინათ ძირითადად რა საშუალებებით იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული სერვისების შესახებ:

- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის შესახებ;

- არსებული სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ;
- სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეღავათების შესახებ;
- უნივერსიტეტში შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ.

სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვების ძირითად წყაროებს შორის შედარებით მეტად ინტერნეტი, განსაკუთრებით კი თსუ-ს ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა ან LMS ანგარიში ფიგურირებს. სიხშირით მეორე ადგილზე დასახელდა სხვა თანატოლები/სტუდენტები და ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხოლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები გამოკითხულთა მცირე რაოდენობის მიერ დასახელდა როგორც ინფორმაციის მოპოვების ეფექტური წყარო. საშუალოდ ინფორმაცია ზემოაღნიშნული სერვისების შესახებ არ მიუღია გამოკითხულთა 21%-ს.

კერძოდ:

- სასწავლო პროცესის შესახებ საჭირო ინფორმაციის მოპოვების ძირითად წყაროდ ინტერნეტი (თსუ-ს ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა ან LMS ანგარიში) დააფიქსირა გამოკითხულთა 51%-მა, თანატოლები - 28%-მა, ხოლო ფაკულტეტის ადმინისტრაცია 11%-მა. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები ერთად დააფიქსირა გამოკითხულთა 18%-მა, ხოლო ინფორმაცია არ მიუღია გამოკითხულთა 4.4%-ს;
- არსებული სტიპენდიებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ, გამოკითხულთა უმრავლესობა - 82% ინფორმაციას იღებს ინტერნეტიდან, 13,8% სხვა სტუდენტებისგან, 12,6% ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები ერთად დააფიქსირა გამოკითხულთა 11%-მა, ხოლო ინფორმაცია არ მიუღია გამოკითხულთა 21%-ს.
- მსგავსად ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეღავათების, ისევე როგორც უნივერსიტეტში არსებული შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ სტუდენტთა დიდი ნაწილი ინფორმაციას იღებს ინტერნეტის (თსუ-ს ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა ან LMS ანგარიში) საშუალებით (62.7% და 67.7%). დამატებით, ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოდგენს სხვა სტუდენტები (13.8% და 23.3%), ფაკულტეტის ადმინისტრაცია დასახელდა გამოკითხულთა 15%-12%-ის მიერ, ხოლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები 12.5% და 12.6%-ის მიერ. ინფორმაცია აღნიშნული სერვისების შესახებ არ მიუღია დაახლოებით 24%-ს.

4. საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება

კვლევის შედეგები ცხადჰყოფს, რომ თსუ-ს ბიბლიოთეკის სხვადასხვა რესურსებითა და მომსახურებით კმაყოფილების დონე საშუალოზე მაღალია (იხ. ცხრილი N2). ბოლო 4 წლის განმავლობაში საბიბლიოთეკო რესურსებთან მიმართებით დაბალი შეფასების ველში არ მოქცეულა არც ერთი კომპონენტი. კერძოდ, თუ 2018 წლის მონაცემებით წიგნების გატანის შესაძლებლობა (Mean=2.8 - 5 ქულიან სკალაზე) შეფასდა ნეგატიურად, 2019-2022 წლების მაჩვენებლებით აღნიშნული სერვისი შედარებით გაუმჯობესებულია (Mean=3.1). ასევე, მაღალი მაჩვენებელი

ფიქსირდება ბიბლიოთეკაში არსებულ სამეცნიერო ლიტერატურის (წიგნები და ელექტრონული მასალები) შეფასებისას (Mean=3.7).

ცხრილი N2. საბიბლიოთეკო რესურსების შეფასება

რამდენად კმაყოფილი ხართ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებით და მომსახურებით?	საშუალო მაჩვენებელი (Mean)	არ მაქვს ინფორმაცია %
ბიბლიოთეკაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურა (წიგნები და ელექტრონული მასალები)	3,7	29.6%
უცხო ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა	3,5	36.7%
ქართულ ენაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა	3,8	32.4%
წიგნის გატანის შესაძლებლობა	3,1	29.1%

შენიშვნა: საშუალო მაჩვენებლები დათვლილია 6-ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი "1" ნიშნავს "ძალიან უკმაყოფილო", ხოლო ციფრი "5" - "ძალიან კმაყოფილი". სკალის ნეიტრალური პუნქტია - "3". ციფრი 3-ზე ზევით შეესაბამება "ძალიან შეფასების ველს", ხოლო ციფრი 3-ზე ქვემოთ - "დაბალი შეფასების ველს". მონაცემების დათვლისას შეფასება „6 - არ მაქვს ინფორმაცია“ ცალკეა გამოტანილი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გასაუმჯობესებელ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტთა ინფორმირებულობა ბიბლიოთეკაში არსებული სერვისების შესახებ, რადგან მიმდინარე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულ სტუდენტთა საშუალოდ 32% არ ფლობს ინფორმაციას საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების შესახებ. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2018-2019 წლებში 19.5%-ს შეადგენდა.

5. სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი (პრობლემა), რომლებიც სტუდენტთა აზრით პირველ რიგში უნდა მოგვარდეს უნივერსიტეტში

სტუდენტთა მხრიდან ყველაზე აქტუალურ და გასაუმჯობესებელ მხარედ დაფიქსირდა მოძველებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აუდიტორიების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, LMS ანგარიშის გამართულად მუშაობა, ლექტორების დაბალი კომპეტენცია ICT-ში, არაორგანიზებულობა და სტუდენტებთან კომუნიკაციის უნარების არქონა. ასევე, გასაუმჯობესებელ აქვექტებად დასახელდა სასწავლო ცხრილის გაუმართაობა, პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის შესაძლებლობების გაზრდა, კვების ობიექტის არარსებობა სასწავლო კორპუსებში, სტუდენტების საუნივერსიტეტო საცხოვრებლით უზრუნველყოფა, სტუდენტური სივრცის არასაკმარისი რაოდენობა, სტუდენტებისადმი არატოლერანტული, უპატივცემულო დამოკიდებულება ადმინისტრაციის მხრიდან და სხვ.

გამოკითხულთა 4.2%-მა თავი შეიკავა პასუხის დაფიქსირებისგან, ხოლო 1.4%-ის თქმით უნივერსიტეტში არაფერია გამოსასწორებელი.

სტუდენტთა მხრიდან ძირითად გასაუმჯობესებელ საკითხებად გამოიყო შემდეგი:

ცხრილი N3. მონაცემები გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ


გასაუმჯობესებელი მხარეები	შემთხვევათა რაოდენობა
მოძველებული ინფრასტრუქტურა	143
Lms-ის გაუმართაობა	102
აუდიტორიის ტექნიკური აღჭურვილობა (პროექტორების დამონტაჟება/შეკეთება, პულტების არასაკმარისი რაოდენობა)	102

ლექტორების არაორგანიზებულობა, ტექნიკური უნარებისა და სტუდენტებთან კომუნიკაციის უნარების არქონა	109
ცხრილის გაუმართაობა	95
პრაქტიკისა და სტაჟირების საკითხის გაუმჯობესება	85
სასადილოს, კვების ობიექტის არარსებობა სასწავლო კორპუსებში	82
სტუდენტური საერთო საცხოვრებელი	77
სტუდენტებისადმი არატოლერანტული, უპატივცემულო დამოკიდებულება ადმინისტრაციისა და ლექტორის მხრიდან	68
საგამოცდო ცენტრის სისტემის მოუქნელობა, გამოცდების ორგანიზებისა და გადატანის სირთულეები	67
სტუდენტური სივრცის არქონა	53
კომპიუტერული კლასების მოუწესრეგებლობა (დავირუსებული კომპიუტერები, არასაკმარისი რაოდენობა)	16
თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მეთოდებით სწავლების სიმწირე	29
ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვილობა	22
კვლევის შესაძლებლობების გაუმჯობესება	9
მოდველებული სილაბუსი და ლიტერატურა	26
უცხო ენის სწავლების მაღალი ხარისხის არქონა (განსაკუთრებით დარგობრივი)	29
ლექტორების დაბალი კომპეტენცია	32
საბიბლიოთეკო რესურსების სიმწირე	34
ინტერნეტის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება	15
შიდა დაფინანსების (სტიპენდია) განაწილების, გაზრდისა და ადგილების განსაზღვრის საკითხები	11
გაცვლითი პროგრამის სიმცირე (განსაკუთრებით მედიცინის მიმართულებით)	20
სტუდენტთა ხელშეწყობი და მხარდამჭერი ღონისძიებების ნაკლებობა	13
შეფასების არაობიექტურობა და გაუმჭვირვალობა	23

6. ვის მიმართავენ სტუდენტები, თუ სწავლის პროცესში რაიმე პრობლემა წარმოიქმნება?


როგორც კვლევამ აჩვენა, სწავლების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარების მიზნით, შემთხვევათა 30.8%-ში სტუდენტები არ მიმართავენ არავის. ამგვარ ქმედებას რამოდენიმე ძირითადი მიზეზი აქვს: ინფორმაციის არქონა თუ ვისთვის უნდა მიემართათ (შემთხვევათა 25%); პრობლემის საკუთარი ძალებით მოგვარება (შემთხვევათა დაახლ. 29.4%); შემთხვევათა 14.4%-ში კი გამოიკვეთა ერთგვარად ნიჰილისტური დამოკიდებულება (აზრი არ ჰქონდა მიმართვას/არ მქონდა იმედი, რომ პრობლემის აღმოფხვრაში დამეხმარებოდნენ); გამოკითხულთა 7.9% ფიქრობს, რომ შეიძლებოდა გამხდარიყო გულგრილი დამოკიდებულების ობიექტი, ხოლო 6.9%-ის თქმით შეიძლებოდა პრობლემა შექმნოდა სასწავლო კურსის პედაგოგთან/ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან.

პრობლემის მოსაგვარებლად მიმართვის შემთხვევაში, ძირითადი ადრესატები არიან: სხვა სტუდენტები/ჯგუფელები (შემთხვევათა 37.3%), რომელიმე საგნის პედაგოგი (შემთხვევათა 31.4%), სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი (შემთხვევათა 26.7%), ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელი (26.2%), საგამოცდო ცენტრი (16.6%), საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი (12%). დანარჩენი "ადრესატების" ხვედრითი წილი უმნიშვნელოა.



დიაგრამა N7. დეპარტამენტებისადმი სტუდენტების მიმართვიანობის მაჩვენებელი

დახმარებისთვის ამა თუ იმ პირისადმი/სტრუქტურული ერთეულისადმი მიმართვის შემთხვევაში სტუდენტების 43.2% მიუთითებს პრობლემის სრულად მოგვარების შესახებ, 39% - ნაწილობრივ გადაჭრის შესახებ, ხოლო 17.8% აფისქირებს, რომ ამა თუ იმ პირისადმი/სტრუქტურული ერთეულისადმი მიმართვის მიუხედავად, პრობლემა არ მოგვარებულა.



დიაგრამა N8. პრობლემის მოგვარების/არმოგვარების მაჩვენებელი

7. რამდენად კარგად იცნობთ ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებს/პროცედურებს:

ცხრილი N4. რეგულაციების, დოკუმენტების/პროცედურების ცნობადობის მაჩვენებელი

	საერთოდ არ ვიცნობ	ნაკლებად ვიცნობ	გარკვეულწილა დ ვიცნობ	კარგად ვიცნობ
თსუ წესდება	41.2%	23.2%	26.7%	8.7%
ეთიკის კოდექსი	31.6%	21.9%	28.9%	17.5%
თსუ შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები	33.2%	23.7%	27.2%	15.8%
სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესი	22.3%	17.7%	29.9%	39.9%
კრედიტების აღიარების წესი	18.3%	19.2%	28.7%	33.7%
მობილობის წესი	26.4%	29.1%	24.1%	20.2%
გამოცდების ჩატარების წესი	9.9%	14.8%	26.8%	48.3%
აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები	26.1%	18.7%	25.7%	29.3%